

**საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39(46), 1999 წელი, მუხ.190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

“ე) თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობით მიღებული შემოსავლების კანონიერება“

2. VII² თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“ადმინისტრაციული სამართალწარმოება თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების, აგრეთვე თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობით მიღებული შემოსავლების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით“.

3. 21⁴ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“მუხლი 21⁴.

თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების, აგრეთვე თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობით მიღებული შემოსავლების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ სარჩელის აღძვრა

1. თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ სარჩელი შეიძლება აღძვრულ იქნეს თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესაის ან დაკავშირებული პირის მიმართ.

2. თამბაქოს ნაწარმის უკანონო ვაჭრობით მიღებული შემოსავლების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ სარჩელი შეიძლება აღძვრულ იქნეს საქართველოს ნებისმიერი პირის მიმართ“.

3. სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

4. 21⁵ მუხლს დაემატოს “ზ“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

“ზ) თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობა – თამბაქოს ნაწარმის წარმოება, შემოტანა, შენახვა, გადაზიდვა ან რეალიზაცია კანონის მოთხოვნათა დარღვევით“

5. 21⁶ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“მუხლი 21⁶ ქონებისა და შემოსავლების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა

1. თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესაის ქონებას მოსამართლე ცნობს უკანონოდ, თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სასამართლომ გამოარკვია, რომ ქონება ან ამ ქონების შეძენისთვის საჭირო საშუალებები მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევის შესაბამისად.

2. პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის ვაჭრობით მიღებულ შემოსავლებს მოსამართლე ცნობს უკანონოდ თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სასამართლომ გამოარკვია, რომ მიღებული შემოსავლები მოპოვებულია თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შესაბამისად.

3. მოსარჩელე ვაღდებულია სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე. თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონებას მოსამართლე მოსარჩელე მხარის მიერ წარუდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ცნობს დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან ამ ქონების შექენისთვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები“.

6. 21⁷ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 21⁷. ქონებისა და შემოსავლების დაყადაღება

1. თუ არის მონაცემები, რომ თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებულ ქონებას გადამაღავენ ან დახარჯავენ ანდა სხვაგვარად გაასხვისებენ, პროკურორი ვაღდებულია სასამართლოს მიმართოს განცხადებით ქონების, მათ შორის, საბანკო ანგარიშების დაყადაღების თაობაზე.

2. თუ არის მონაცემები, რომ პირის მიერ თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობით მიღებულ შემოსავლებს გადამაღავენ ან დახარჯავენ ანდა სხვაგვარად გაასხვისებენ, პროკურორი ვაღდებულია სასამართლოს მიმართოს განცხადებით შემოსავლების, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე არსებულის დაყადაღების თაობაზე.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენება ამ კოდექსის VII² თავის დებულებები.“

7. 21⁸ მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 21⁸ ქონებისა და შემოსავლების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიული შედეგები

1. თუ სასამართლომ ამ თავის 21⁸ მუხლის შესაბამისად თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონება ცნო უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, აგრეთვე პირების თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობით მიღებული შემოსავლები ცნო უკანონოდ, მოპასუხის ქონება მესამე პირთა კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის დაუსაბუთებელი ან უკანონო ქონების, თამბაქოს ნაწარმის უკანონო ვაჭრობით მიღებული შემოსავლების კანონიერი მესაკუთრის ან სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი